



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე



დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (დ. 30. IX. 1944, თბილისი), ელექტრომექანიკოსი. საქართველო. მეცნი. აკად. წ.-კორ. (1997). ტექ. მეცნი. დოქტორი (1991), პროფესორი (1992). საქართველო. სოფლის მეურნეობის მეცნი. აკად. ნამდვ. წევრი (1995).

დაამთავრა საქართველო. პოლიტექ. ინ-ტი (1966). 1967-68 მუშაობდა იქვე, 1968-74 - საქართველო. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნი.-კვლ. ინ-ტში. 1974- იდან მუშაობს საქართველო. სას.-სამ. ინ-ტში (ახლანდ. საქართველო. აგრარული უნ-ტი), 1989-იდან ელექტროტექნიკისა და ელექტროამძრავის კათედრის გამგეა.

ა. კ. დიდებულიძე

2004-08 იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე. დ-ის სამეცნი. შრომები ეხება სოფ. მეურნ. და ელექტრომექანიკის პრობლემებს - სპეც. ელექტრიფიკირებულ სატრანსპ.-ტექნოლ. მონოპოლიზაციას, ელექტროდინამიკის ექსპლუატაციას.

მონაწილეობდა (ვ. მეტრეველსა და რ. ქსოვრელთან ერთად) ელექტრომაგნიტური ვიბრაციის, პნევმოსატრანსპ. დინამიკის დამუშავებაში, რისთვისაც მიღებული აქვს სხვადასხვა ქვეყნის 40 პატენტი და საავტორო მოწმობა.

თბმ.: ავტომატიზებული ელექტროამძრავი სოფლის მეურნეობაში, ნაწ. 2, თბ., 1982 (თანაავტ.: ვ. მეტრეველი, შ. ჭელიძე); ელექტრომონწილობის ექსპლუატაცია, თბ., 1991 (თანაავტ. ი. ნულაძე); სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 1997; ენერგეტიკის სექტორი საქართველოში, თბ., 1998.

**ვ. მეტრეველი**

---